Hooliganism

სუბკულტურა,რომელიც შედგება ფეხბურთის ფანებისგან.იგი წარმოიშვა ინგლისში 1960 წელს და მას ძირითადად მშრომელი კლასი წარმოადგენდა, ხოლო თანამედროვე პირობებში მისი წევრები საზოგადოების ელიტის წარმომადგენლებიც არიან.

იგი ჩამოყალიბდა,როგორც ცალკეული მსოფლმხედველობა და ფილოსოფია, რომელიც მნიშნელოვნად გასცდა სტადიონს და ქვეყნის საზღვრებსაც.

ეს არის დასავლური კულტურის ნაწილი,და ჩვენს რეალობაში არსებული კულტურის ნაწილი.

თავისი მნიშნელობის გამო იგი გახდა სოციოლოგების კვლევის საგანი.მათ აზრით ამ სუბკულტურის მიმდევართა მიზანია-"პრესტიჯის მოპოვება" თავისი გუნდისთვის.ამ მიზნის მიღწევა ხდება სხვა მეთოქე გუნდის იგივე სუბკულტურის წარმომადგენელთან ღია კონფრონტაციით.მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი კი-ფეხბურთის მიმართ ერთგულებაა.

ჩემის აზრით ეს სუბკულტურა არის უნიკალური,თავისი შინაარსით,რადგან რომ გერქვას hooligan უნდა გქონდეს საკუთარი ღირსების შეგრძნება,შინაგანი თავისუფლების გრძნობა მებრძოლის სულისქვეთება.
ეს არის ის ძირითადი თვისებები,რომლებიც მათ გააჩნიათ და სწორედ ამითი ისინი განსხვავდებიან სხვა სუბკულტურებისგან.

“პრესტიჯის”- ერთ-ერთი ნიშანია ჩაცმულობა.მათ ჩამოაყალიბეს ჩაცმის სტილი Casual, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ნაწილი გახდა.ისინი იცმევენ ისეთი ცნობილი ბრენდების ტანსაცმელს,როგორებიცაა (Burberry,Ben Sherman,Polo Ralph Lauren,Lacoste,Fred Perry, და სხვ.).ეს მიუთითებს იმაზე,რომ მისი მიმდევრები საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებიც არიან.მაგრამ მეორეს მხრივ ეს ასევე არის ინსტრუმენტი,რომელიც მოფიქრებულ იქნა იმ მიზნით,რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ განესხვავებინათ ისინი სხვა ფეხბურთის გულშემატკივრებისგან.

ასევე მათ პრესტიჯს წარმოადგენს ის რომ,იქმნება ფილმები,იწერება მუსიკა და ლიტერატურა,რომელიც ეძღვნება ამ თემას.სოციოლოგები,ანთროპოლოგები, ფსიქოლოგები ასევე სახელმწიფო სტრუქტურები ახდენენ მათ "პოპულარიზაციას".მათ იგი უბრალოდ "გააპიარეს" ისე,რომ არც ქონდათ ეს ჩაფიქრებული.ისინი უყურებენ მას,როგორც პრობლემას თუმცა სწორედ მათი მეშვეობით ის აღარ არის უცნობი თემა,არამედ კარგად ნაცნობი და ჩვენს რეალობას მორგებული ცნება გახდა.





ფეხბურთის მიმართ ერთგულების დამტკიცება,ხდება ღია კონფრონტაციით ანუ “ძალადობით”. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოების მიერ ეს სუბკულტურა მიჩნეულია,როგორც უკანონო,არაცივილიზებული და ის ასოცირდება ნარკოტიკებთან,ალკოჰოლთან და ამორალურ ცხოვრების წესთან.

თუმცა მე ვფიქრობ,რომ მამაკაცის ცხოვრებაში არსებობს მომენტი,როდესაც მას უწევს თუნდაც არაკანონიერი გზებით,თავისი ღირსების დაცვა და ამაში არაბუნებრივი არაფერი არ არის,მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება შენ ქვეყანას,შენს ქალაქს,შენს კულტურას და მსოფლმხედველობას.

გარდა ამისა ეს კარგი საშუალებაა ადამიანის “აგრესიისგან” დაცლის და ეს ინდივიდუალური საკითხია.ზოგისთვის განტვირთვის საშუალება ყვავილების მოვლა,ძაღლის გასეირნება და უბრალოდ კომპიუტერთან ჯდომაა,მაგრამ ამის გამო ხომ არ ხდება მისი დისკრიმინაცია?

რაც შეეხება ალკოჰოლს და მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებებს,ესეც განტვირთვის ერთ-ერთი მიღებული ფორმაა,წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა მათ მიმართ ლიბერალური კანონები მიღებული იმ ქვეყნებში რომლებიც ითვლებიან ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნებად.
მაგალითად:მარიხუანას იყენებენ სამკურნალოდ და იგი ისეთ ფუნქციას ასრულებს,რომლის ანალოგი მედიკამენტის სახით არ არსებობს.
ჩემის აზრით მისი მოხმარება დაშვებულ დოზაზე მეტის შემთხვევაში, ყველასთვის მისაღები თუ არა საგანგაშო ნამდვილად არ არის,რადგან ადამიანებს ხანდახან ჭირდებათ "რეალობისგან" თავის დახწევა.ეს რეალობა კი იმაში მდგომარეობს,რომ ადამიანები დამოკიდებულნი არიან,ისე რომ ამას ვერ აცნობიერებენ.(მას-მედია,ინტერნეტი,რელიგიური ფანატიზმი, პიროვნების პოლიტიზირება და სხვ.),რომელიც ზიანს აყენებს მის "სულიერ ჯანმრთელობას",ეს კი თავის მხრივ ბევრად უარესია ფიზიკურზე.

ეს სუბკულტურა ასევე შეგვიძლია განვიხილოთ,როგორც პიროვნების რეალიზაციის საშუალება.ის მისი მეშვეობით ხდება უფრო მტკიცე ხასიათის და იძენს პიროვნულ ძლიერ თვისებებს,რომელიც მამაკაცისათვის აუცილებელია.მას აქვს შეხება საზოგადოების მაღალი ელიტის წარმომადგენლებთან,არის პოპულარული, სასიამოვნოდ ატარებს თავისუფლად დროს.ეს მოთხოვნების ის ნუსხაა, რომელიც ყველა ახალგაზრდა მამაკაცს აქვს.ამისათვის რა თქმა უნდა ძალისხმევაა და შრომაა საჭირო,ამიტომ ისინი მიდიან გარკვეულ "რისკზე",ხანდახან დგებიან კანონის მიღმა,მორალის და საზოგადოდ მიღებული ნორმების მიღმა.მაგრამ ამის გაკეთება ყველა ადამიანს უწევს თუ იგი პიროვნებაა და არა ბრბოს ნაწილი,მას ყოველთვის ექნება თავისი ინდივიდუალური სიმართლე და ფილოსოფია.



ფეხბურთი-ცენტრალური განმაპირობებელი ფაქტორი.ის არის გაცილებით მეტი ვიდრე სპორტი,იგი ბევრი ადამიანისთვის ცხოვრების აზრად იქცა.ამ სიტყვის მნიშნელობის გაგებისთვის,აუცილებელია Hooliganism-ს გაეცნო და საფუძვლიანად შეისწავლო.სწორედ მისი არსებობა პასუხობს იმ შეკითხვას თუ რას ნიშნავს ეს სპორტი მათთვის !?